სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1

17 მარტი, 2025 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2019 წლის 20 სექტემბრის ბრძანება № 1-ში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 16 თებერვლის ბრძანება № 1-ში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის N148/2016 დადგენილებით დამტკიცებული თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის ,,ლ“ და ,,მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2019 წლის 20 სექტემბრის ბრძანება № 1-ში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 16 თებერვლის ბრძანება № 1-ში და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის კადრების მენეჯერისა და სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის გამგის სამუშაო აღწერილობები დამტკიცდეს ახალი რედაქციით, კერძოდ:

1.1 კადრების მენეჯერის ფუნქციები (ძირითადი მოვალეობები):

- ინსტიტუტის, მისი სტრუქტურული ერთეულების პირადი შემადგენლობისა და დადგენილი დოკუმენტაციის აღრიცხვა კადრების საკითხებში და წარდგენა თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტში მოთხოვნისამებრ;
- თსუ ნომენკლატურის შესაბამისად ინსტიტუტში შექმნილ მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების ექსპერტიზისა და საქმეებად ფორმირება-მომზადების ორგანიზება თსუ კანცელარიის არქივში ჩასაბარებლად;
- უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონების გაფრთხილება;
- ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

1.2. სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის გამგის ფუნქციები (ძირითად მოვალეობები):

- ინსტიტუტის ბიბლიოთეკის საქმიანობის მხარდაჭერა და კონტროლი;
- ინსტიტუტისთვის სამეცნიერო ინფორმაციების მოპოვება-გავრცელება;
- მონაცემების განახლება ინსტიტუტის ვებ-გვერდზე და მონაცემთა ბაზის სერვერებში;
- ინსტიტუტის კომპიუტერული ქსელის მართვა და დაგეგმვა;

- ძირითადი ქსელური სერვისების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ინსტიტუტის ქსელის კავშირის უზრუნველყოფა ცენტრალურ კვანძთან და სხვა ქსელებთან;
- ქსელის გაფართოების ან მოდერნიზაციის გეგმების, შესაძენი ტექნიკის სიის დადგენა;
- პროგრამული უზრუნველყოფის დაყენება და მართვა სერვერებსა და სხვა ქსელურ მოწყობილობებზე;
- ქსელში ახალი მომხმარებლის დარეგისტრირება;
- ქსელური რესურსების განაწილების კონტროლი;
- ინფორმაციის რეზერვირებისა და კოპირების უზრუნველყოფა;
- ინსტიტუტისათვის საჭირო დოკუმენტების შექმნა;
- ინსტიტუტის სამეცნიერო ანგარიშებისა და სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების მოზმადებაში აქტიური მონაწილეობა;
- სექტორის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა;
- უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონების გაფრთხილება;
- ინსტიტუტის რეპუტაციის გაფრთხილება, ინსტიტუტის მიზნების განხორციელებისთვის ხელის შეწყობა;
- ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

2. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტი, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნინო ფარცვანია